საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-02/16

კოდიფიცირებული

ქ. ბათუმი 15 თებერვალი, 2019 წ.

პროფესიული განათლების მასწავლებელთან დასადები შრომითი ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი"-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების,** ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 თებერვლის N06-01/07 დადგენილების,** ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N01-02/11 ბრძანების,** ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით დასაქმებული პერსონალის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 31 ოქტომბრის N01-11/98 ბრძანების** და ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N01-08/169 ბრძანების** საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორ-ციელების მიზნით მოსაწვევ პროფესიული განათლების მასწავლებელთან დასადები **შრომითი ხელშეკრულების (პირობითი)** თანდართული ფორმა (**დანართი 1**).
2. დამტკიცდეს ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით მოწვეულ პროფესიული განათლების მასწავლებელთან დასადები **შრომითი ხელშეკრულების** თანდართული ფორმა (**დანართი 2**).

2^1. დამტკიცდეს ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების საგანმანათლებლო

პროცესის წარმართვის მიზნით მოწვეული სპეციალური პროფესიული განათლების მასწავლებელთან დასადები **შრომითი ხელშეკრულების** თანდართული ფორმა (**დანართი 3**). *(დამატება ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 04 მარტის 01-02/31 ბრძანებით)*

3. ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს დაევალოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრთან კოორდინირებული მუშაობით უზრუნველყოს:

ა) ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით მოსაწვევ პირებთან **პირობითი შრომითი ხელშეკრულების (დანართი 1**) გაფორმება, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის, მოსაწვევი პირის კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების ამსახველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ;

ბ) ბსუ-ს რექტორის ბრძანებით მოწვეული პროფესიული განათლების მასწავლებლებთან წინამდებარე ბრძანების **N2 დანართის შესაბამისად შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება**, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის, მასწავლებლის მიერ სრულყოფილად შევსებული ,,სამუშაო დატვირთვის შესახებ შეთანხმების", მისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების ამსახველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

4. ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა უზრუნველყოს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის შემდეგ მათი სკანირება და ელექტრონული საქმისწარმოების შესაბამისად გადაგზავნა ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრისათვის.
5. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის ელექტრონული პირადი საქმე, რომელშიც უნდა განთავსდეს: მასწავლებლის კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების, პირობითი შრომის ხელშეკრულების, ,,სამუშაო დატვირთვის შესახებ შეთანხმების", მასწავლებლის საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების (ასევე ცვლილებების) და შრომითი ხელშეკრულების ასლები.
6. ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით მოწვეულ პროფესიული განათლების მასწავლებელთან დასადები შრომითი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 8 ოქტომბრის N01-08/128 ბრძანება ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი.
7. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში - იურიდიული ცნობარი/საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები/პროფესიული სწავლება).
8. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, საფინანსო-

ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 15 თებერვლის
N 01-02/16 ბრძანების დანართი 1

შრომითი ხელშეკრულება №

(პირობითი)

ქ. ბათუმი ------- ---------- -------

რიცხვი, თვე, წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში ,,ბსუ"/,,უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი რექტორის, ---------- ---------- მიერ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის -- ---------- მიერ (შემდეგში - „დამსაქმებელი") და მეორე მხრივ ფიზიკური პირი ——————————————————————— (შემდეგში **„დასაქმებული"/,,პროფესიული განათლების მასწავლებელი"**), შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ბსუ-ში პროფესიული **საგანმანათლებლო პროგრამის** ,,------- ----------'' განხორციელების შემთხვევაში **მოდულის** ,,---------- ---------- ----------'' პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ წარმართვასთან დაკავშირებული სამომავლო შრომითი ურთიერთობის **(შემდეგში ,,შრომითი საქმიანობა")** დარეგულირება.

1.2. დასაქმებული შრომით საქმიანობას წარმართავს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის - ,,სამუშაო დატვირთვის შესახებ შეთანხმების" შევსების, მასწავლებლის საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

1.3. დასაქმებულის შრომითი საქმიანობის დაწყებისა და დასრულების დრო განისაზღვრება შესაბამისი მოდულის განხორციელების ვადების მიხედვით, რომელიც აისახება ,,სამუშაო დატვირთვის შესახებ შეთანხმებაში" და მასწავლებლის საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებაში.

1.4. ,,შეთანხმება სამუშაო დატვირთვის შესახებ" ფორმდება და საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის სამართლებრივი აქტი მზადდება ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N01-08/169 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის" შესაბამისად.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. დასაქმებულს უფლება აქვს:

ა) ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მოითხოვოს შესაბამისი პირობების შექმნა და მიიღოს ბსუ-ს აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება;

ბ) მოითხოვოს მუშაობისათვის აუცილებელი და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო;

გ) ისარგებლოს დასვენების უფლებით, ყოველწლიური ანაზღაურებადი ან/და ანაზღაურების გარეშე შვებულებით, ბსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი პირობებითა და ვადით;

დ) მიიღოს ზეგანაკვეთური სამუშაოსათვის ანაზღაურება, საქართველოს შრომის კოდექსით და ბსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი წესითა და ოდენობით;
ე) დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, შრომის კოდექსით, უნივერსიტეტის წესდებით და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ყველა უფლებითა და თავისუფლებით.

2.2. **დასაქმებული ვალდებულია:**
ა) შრომითი საქმიანობა წარმართოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის) განხორციელებასთან დაკავშირებული ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტების (,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი“, ,,პრაქტიკის განხორციელების წესი“ და სხვა სამართლებრივი აქტები) შესაბამისად;
ბ) სამუშაო შეასრულოს პირადად, საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ სამუშაო ადგილზე (ბრძანებაში მიეთითება ქალაქ ბათუმში, ბსუ-ს სარგებლობაში არსებული შესაბამისი შენობის მისამართი, სადაც ხორციელდება მოდული/მოდულები) და შესაბამისი მოდულის სასწავლო გეგმით განსაზღვრული განრიგის მიხედვით;
გ) მოდულის სასწავლო რესურსი გამოიყენოს უნივერსიტეტში დადგენილი ფორმითა და წესით; მიიღოს ყველა გონივრული ზომა სასწავლო გეგმით დადგენილ ვადებში პროფესიული სტუდენტის ცოდნისა და მიღწევების სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად და შეფასების პროცესში გამოიყენოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმები, შეავსოს და დადგენილ ვადებში წარადგინოს ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული დოკუმენტები;
დ) გაუფრთხილდეს დამსაქმებლის მიერ მისთვის სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად დროებით სარგებლობაში გადაცემულ მატერიალურ ფასეულობებს და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთანავე უზრუნველყოს ბსუ-ს უფლებამოსილი პირისათვის მათი დაბრუნება;
ე) ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს შრომის კოდექსით, ბსუ-ს წესდებით, ბსუ-ს შინაგანაწესით, ბსუ-ს მართვის ორგანოთა აქტებით და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, დაიცვას უნივერსიტეტის პრესტიჟი, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;
ვ) შეასრულოს ბსუ-ს შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, საქმისწარმოების ინსტრუქციის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის) განხორციელების/ბსუ-ში პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომითი საქმიანობისა და სწავლების/სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები, რეგულარულად გაეცნოს ამ სამართლებრივ აქტებში შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც დასაქმებულს მიეწოდება ბსუ-ს ელექტრონული საქმისწარმოების/წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე/სხვა ელექტრონული რესურსის საშუალებით ან/და განთავსდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge).
2.3. დასაქმებული შრომით ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაცნობილია და ეთანხმება ბსუ-ში შრომითი საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ

აქტებს, მათ შორის ბსუ-ს შინაგანაწესს, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

2.4. დამსაქმებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დასაქმებულს ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, ბსუ–ს შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში - გაატაროს მის მიმართ საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

ბ) დაამუშაოს დასაქმებულის პერსონალური ინფორმაცია შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

2.5. **დამსაქმებელი ვალდებულია:**

ა) შეუქმნას დასაქმებულს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად შესაბამისი პირობები და გარემო და ამ მიზნით უზრუნველყოს დასაქმებულის მიერ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა რესურსებით სარგებლობა;

ბ) ბსუ-ს აქტებით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის შესაბამისი ანაზღაურება;

გ) ხელი შეუწყოს დასაქმებულს, რათა დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, შრომის კოდექსით, უნივერსიტეტის წესდებით და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ყველა უფლებითა და თავისუფლებით.

მუხლი 3. შრომის ანაზღაურება

3.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი შრომის ანაზღაურების ოდენობა (ტარიფი) შეადგენს ---------- ლარს (საფუძველი - ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ---------- ბრძანება, რომელსაც ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროისათვის გაცნობილია დასაქმებული). ტარიფის ცვლილება არ გამოიწვევს წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას და დასაქმებულს ეცნობება წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ პირად ელექტრონულ ფოსტაზე.

3.2. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება გაიცემა ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N01-08/169 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის" შესაბამისად.

3.3. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადის დაქვითვით (თანხის ჩარიცხვა ხორციელდება დასაქმებულის მიერ მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე).

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და **დასკვნითი დებულებები**

4.1. ხელშეკრულება ძალაშია --------- წლის ---------- დან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

4.2. ხელშეკრულების ვადის გასვლამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება (წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი მოდულის დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე);
ბ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;
გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
დ) ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის) განხორციელების მარეგულირებელი ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევა;
ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის ან მოდულის იმ კომპონენტის გაუქმება, რომლის წარმართვის მიზნით მოწვეულია პროფესიული განათლების მასწავლებელი;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.
4.3. წინამდებარე პირობითი შრომითი ხელშეკრულება, შემდგომში დასაქმებულთან გაფორმებული ,,შეთანხმება სამუშაო დატვირთვის შესახებ“ და დასაქმებულის საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება განიხილება პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ნაწილად.
4.4. მხარეთა შორის სადაო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
4.5. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება დამსაქმებელთან (ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში), ხოლო მეორე გადაეცემა დასაქმებულს.
4.6. **მხარეთა ხელმოწერები:**

„დამსაქმებელი“	„დასაქმებული“
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო ადმინისტრაციის მისამართი:	**სახელი, გვარი** ----------
	პირადი ნომერი ————————
ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/**32**	**რეგისტრ. მის.:** ———————--------
უნივერსიტეტის რექტორი	**ფაქტ.საცხ.ადგ:** ————————
	ელექტ.მისამარ. ————————
————————————	**საკონტ.ტელ.** ————————
(ხელმოწერა)	**საბანკო რეკვიზიტი:** ----------
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	----------
	(ხელმოწერა)

(ხელმოწერა)

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 15 თებერვლის
N 01-02/16 ბრძანების დანართი 2

შრომითი ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი ------- ---------- -------
რიცხვი, თვე, წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში ,,ბსუ"/,,უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი რექტორის, ---------- მიერ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ---------- მიერ (შემდეგში - „დამსაქმებელი") და მეორე მხრივ ფიზიკური პირი ———————————————————————— (შემდეგში **„დასაქმებული"/,,პროფესიული განათლების მასწავლებელი"**), შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ბსუ-ს პროფესიული **საგანმანათლებლო პროგრამის** ---------- **მოდულის** ,,- ----------'' პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ წარმართვასთან დაკავშირებული შრომითი ურთიერთობის **(შემდეგში ,,შრომითი საქმიანობა")** დარეგულირება.

1.2. დასაქმებული შრომით საქმიანობას წარმართავს ,,სამუშაო დატვირთვის შესახებ შეთანხმების" გაფორმების, მისი საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებისა და წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

1.3. დასაქმებულის შრომითი საქმიანობის დაწყებისა და დასრულების დრო განისაზღვრება შესაბამისი მოდულის განხორციელების ვადების მიხედვით, რომელიც აისახება ,,სამუშაო დატვირთვის შესახებ შეთანხმებაში" და მასწავლებლის საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებაში.

1.4. საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებაში აისახება: **ა) მოწვეული პირის სტატუსი** - ,,პროფესიული განათლების მასწავლებელი" და ბსუ-ში დაკავებული თანამდებობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში); **ბ) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი განხორციელების პერიოდი**; **გ) შესაბამისი მოდული (სასწავლო კურსი) კრედიტებში; დ) სამუშაოს შესრულების (მოდულის განხორციელების) ადგილი; ე) სამუშაოს შესრულების (მოდულის განხორციელების) პერიოდი; ვ) სამუშაო დატვირთვის სახე** (ლექცია/პრაქტიკული, შეფასება და სხვა); **ზ) სამუშაო დატვირთვის მოცულობა** (ჩასატარებელი საათების რაოდენობა), მათ შორის მოდულის შესაბამის კომპონენტში; **თ)** მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.

1.5. დასაქმებულთან გაფორმებული ,,შეთანხმება სამუშაო დატვირთვის შესახებ" და დასაქმებულის საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება განიხილება წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების ნაწილად. რექტორის ბრძანებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა არ საჭიროებს ამ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას (ცვლილებები ან/და დამატებები დასაქმებულს ეცნობება წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული პირადი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით).

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. დასაქმებულს უფლება აქვს:

ა) ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მოითხოვოს შესაბამისი პირობების შექმნა და მიიღოს ბსუ-ს აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება;

ბ) მოითხოვოს მუშაობისათვის აუცილებელი და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო;

გ) ისარგებლოს დასვენების უფლებით, ყოველწლიური ანაზღაურებადი ან/და ანაზღაურების გარეშე შვებულებით, ბსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი პირობებითა და ვადით;

დ) მიიღოს ზეგანაკვეთური სამუშაოსათვის ანაზღაურება, საქართველოს შრომის კოდექსით და ბსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი წესითა და ოდენობით;

ე) დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, შრომის კოდექსით, უნივერსიტეტის წესდებით და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ყველა უფლებითა და თავისუფლებით.

2.2. დასაქმებული ვალდებულია:

ა) შრომითი საქმიანობა წარმართოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის) განხორციელებასთან დაკავშირებული ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტების (,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი“, ,,პრაქტიკის განხორციელების წესი“ და სხვა სამართლებრივი აქტები) შესაბამისად;

ბ) სამუშაო შეასრულოს პირადად, საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ სამუშაო ადგილზე (ბრძანებაში მიეთითება ქალაქ ბათუმში, ბსუ-ს სარგებლობაში არსებული შესაბამისი შენობის მისამართი, სადაც ხორციელდება მოდული/მოდულები) და შესაბამისი მოდულის სასწავლო გეგმით განსაზღვრული განრიგის მიხედვით;

გ) მოდულის სასწავლო რესურსი გამოიყენოს უნივერსიტეტში დადგენილი ფორმითა და წესით; მიიღოს ყველა გონივრული ზომა სასწავლო გეგმით დადგენილ ვადებში პროფესიული სტუდენტის ცოდნისა და მიღწევების სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად და შეფასების პროცესში გამოიყენოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმები, შეავსოს და დადგენილ ვადებში წარადგინოს ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული დოკუმენტები;

დ) გაუფრთხილდეს დამსაქმებლის მიერ მისთვის სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად დროებით სარგებლობაში გადაცემულ მატერიალურ ფასეულობებს და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთანავე უზრუნველყოს ბსუ-ს უფლებამოსილი პირისათვის მათი დაბრუნება;

ე) ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს შრომის კოდექსით, ბსუ-ს წესდებით, ბსუ-ს შინაგანაწესით, ბსუ-ს მართვის ორგანოთა აქტებით და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, დაიცვას უნივერსიტეტის პრესტიჟი, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;

ვ) შეასრულოს ბსუ-ს შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, საქმისწარმოების ინსტრუქციის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის) განხორციელების/ბსუ-ში პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომითი საქმიანობისა და სწავლების/სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები, რეგულარულად გაეცნოს ამ სამართლებრივ აქტებში შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც დასაქმებულს მიეწოდება ბსუ-ს ელექტრონული საქმისწარმოების/წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე/სხვა ელექტრონული რესურსის საშუალებით ან/და განთავსდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge).

2.3. დასაქმებული შრომით ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაცნობილია და ეთანხმება ბსუ-ში შრომითი საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს, მათ შორის ბსუ-ს შინაგანაწესს, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

2.4. დამსაქმებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დასაქმებულს ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, ბსუ–ს შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში - გაატაროს მის მიმართ საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

ბ) დაამუშაოს დასაქმებულის პერსონალური ინფორმაცია შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

2.5. დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) შეუქმნას დასაქმებულს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად შესაბამისი პირობები და გარემო და ამ მიზნით უზრუნველყოს დასაქმებულის მიერ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა რესურსებით სარგებლობა;

ბ) ბსუ-ს აქტებით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის შესაბამისი ანაზღაურება;

გ) ხელი შეუწყოს დასაქმებულს, რათა ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, შრომის კოდექსით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებებით.

მუხლი 3. შრომის ანაზღაურება

3.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი შრომის ანაზღაურების ოდენობა (ტარიფი) შეადგენს ---------- ლარს (საფუძველი - ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ---------- ბრძანება, რომელსაც ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროისათვის გაცნობილია დასაქმებული). ტარიფის ცვლილება არ გამოიწვევს წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას და დასაქმებულს ეცნობება წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ პირად ელექტრონულ ფოსტაზე.

3.2. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება გაიცემა ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N01-08/169 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის“ შესაბამისად.

3.4. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადის დაქვითვით (თანხის ჩარიცხვა ხორციელდება დასაქმებულის მიერ მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე).

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და **დასკვნითი დებულებები**

1. ხელშეკრულება ძალაშია --------- წლის ---------- და მოქმედებს ---------- ----- მდე.

2. ხელშეკრულების ვადის გასვლამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება (წარმოდგენილი შესაბამისი მოდულის დაწყებამდე ერთი თვით ადრე);

ბ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის) განხორციელების მარეგულირებელი ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევა;

ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის ან მოდულის იმ კომპონენტის გაუქმება, რომლის წარმართვის მიზნით მოწვეულია პროფესიული განათლების მასწავლებელი;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

3. მხარეთა შორის სადაო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება დამსაქმებელთან (ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში), ხოლო მეორე გადაეცემა დასაქმებულს.

5. მხარეთა ხელმოწერები:

„დამსაქმებელი“	„დასაქმებული“
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო ადმინისტრაციული	**სახელი, გვარი** ----------
მისამ: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/**32**	**პირადი ნომერი** ----------
	რეგისტრ. მის.: ----------
უნივერსიტეტის რექტორი	**ფაქტ.საცხ.ადგ:** ----------
	ელექტ.მისამარ. ----------
----------	**საკონტ.ტელ.** ----------
(ხელმოწერა)	**საბანკო რეკვიზიტი:** ----------
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	----------
	(ხელმოწერა)

(ხელმოწერა)	

დამატება ბსუ-ს რექტორის
2019 წლის 04 მარტის 01-02/31 ბრძანებით

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 15 თებერვლის
N01-02/16 ბრძანების დანართი 3

შრომითი ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი ------- ---------- -------
რიცხვი, თვე, წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში ,,ბსუ"/,,უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი რექტორის, ---------- და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ---------- მიერ (შემდეგში - „დამსაქმებელი") და მეორე მხრივ ფიზიკური პირი ———————————————————————— (შემდეგში **„დასაქმებული"/,,სპეციალური პროფესიული განათლების მასწავლებელი"**), შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე **(შემდეგში ,,სსსმ")** ბსუ-ს პროფესიული სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროცესის კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმართვისათვის მოწვეული სპეციალურ პროფესიული განათლების მასწავლებელთან შრომითი ურთიერთობის **(შემდეგში ,,შრომითი საქმიანობა")** დარეგულირება.

1.2. დასაქმებული შრომით საქმიანობას წარმართავს მისი მოწვევისა და სამუშაო დატვირთვის (სამუშაო აღწერილობის) განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებისა და წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

1.3. დასაქმებულის შრომითი საქმიანობის დაწყებისა და დასრულების დრო განისაზღვრება სსსმ პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების ვადების მიხედვით, რომელიც დასაქმებულს განესაზღვრება სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით ან/და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ.

1.4. დასაქმებულის მოწვევისა და სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" განიხილება წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების ნაწილად. რექტორის ბრძანებებში ცვლილებების და დამატებების შეტანა არ საჭიროებს ამ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას (ცვლილებები ან/და დამატებები დასაქმებულს ეცნობება წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული პირადი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით).

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.3. დასაქმებულს უფლება აქვს:

ა) ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მოითხოვოს შესაბამისი პირობების შექმნა და მიიღოს ბსუ-ს აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება;

ბ) მოითხოვოს მუშაობისათვის აუცილებელი და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო;
გ) ისარგებლოს დასვენების უფლებით, ყოველწლიური ანაზღაურებადი ან/და ანაზღაურების გარეშე შვებულებით, ბსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი პირობებითა და ვადით;
დ) მიიღოს ზეგანაკვეთური სამუშაოსათვის ანაზღაურება, საქართველოს შრომის კოდექსით და ბსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი წესითა და ოდენობით;
ე) დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, შრომის კოდექსით, უნივერსიტეტის წესდებით და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ყველა უფლებითა და თავისუფლებით.

2.4. **დასაქმებული ვალდებულია:**
ა) შრომითი საქმიანობა სსსმ ბსუ-ს პროფესიული სტუდენტებისათვის წარმართოს ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის) განხორციელებასთან დაკავშირებული ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტების (,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი", ,,პრაქტიკის განხორციელების წესი" და სხვა სამართლებრივი აქტები) შესაბამისად;
ბ) სამუშაო შეასრულოს პირადად, სსსმ ბსუ-ს პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის განხორციელების ადგილზე (შემდეგში ,,სამუშაო ადგილი" - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ ეგზავნება შესაბამისი მოდულების სასწავლო გეგმები და მიეთითება ქალაქ ბათუმში, ბსუ-ს სარგებლობაში არსებული შენობის მისამართი, სადაც ხორციელდება შესაბამისი პროგრამა);
გ) შეავსოს და დადგენილ ვადებში წარადგინოს ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული დოკუმენტები;
დ) გაუფრთხილდეს დამსაქმებლის მიერ მისთვის სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად დროებით სარგებლობაში გადაცემულ მატერიალურ ფასეულობებს და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთანავე უზრუნველყოს ბსუ-ს უფლებამოსილი პირისათვის მათი დაბრუნება;
ე) ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს შრომის კოდექსით, ბსუ-ს წესდებით, ბსუ-ს შინაგანაწესით, ბსუ-ს მართვის ორგანოთა აქტებით და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, დაიცვას უნივერსიტეტის პრესტიჟი, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;
ვ) შეასრულოს ბსუ-ს შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, საქმისწარმოების ინსტრუქციის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის) განხორციელების/ბსუ-ში პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომითი საქმიანობისა და სწავლების/სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები, რეგულარულად გაეცნოს ამ სამართლებრივ აქტებში შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც დასაქმებულს მიეწოდება ბსუ-ს ელექტრონული საქმისწარმოების/წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე/სხვა ელექტრონული რესურსის საშუალებით ან/და განთავსდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge).

2.3. დასაქმებული შრომით ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაცნობილია და ეთანხმება ბსუ-ში შრომითი საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს, მათ შორის ბსუ-ს შინაგანაწესს, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

2.4. დამსაქმებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დასაქმებულს ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, ბსუ–ს შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში - გაატაროს მის მიმართ საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

ბ) დაამუშაოს დასაქმებულის პერსონალური ინფორმაცია შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

2.5. დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) შეუქმნას დასაქმებულს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად შესაბამისი პირობები და გარემო და ამ მიზნით უზრუნველყოს დასაქმებულის მიერ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა რესურსებით სარგებლობა;

ბ) ბსუ-ს აქტებით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის შესაბამისი ანაზღაურება;

გ) ხელი შეუწყოს დასაქმებულს, რათა ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, შრომის კოდექსით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებებით.

მუხლი 3. შრომის ანაზღაურება

3.3. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოსათვის დასაქმებულის შრომის ანაზღაურება შეადგენს **300 ლარს** (საფუძველი - ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ---------- ბრძანება, რომელსაც ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროისათვის გაცნობილია დასაქმებული).

3.4. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება გაიცემა ყოველთვიურად, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

3.5. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადის დაქვითვით (თანხის ჩარიცხვა ხორციელდება დასაქმებულის მიერ მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე).

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და **დასკვნითი დებულებები**

4.1. ხელშეკრულება ძალაშია --------- წლის ---------- და მოქმედებს ---------- ---------- ----;

4.2. ხელშეკრულების ვადის გასვლამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება (წარმოდგენილი შესაბამისი პროგრამის დაწყებამდე ერთი თვით ადრე);

ბ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის) განხორციელების მარეგულირებელი ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევა;
ე) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.
4.3. მხარეთა შორის სადაო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
4.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება დამსაქმებელთან (ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში), ხოლო მეორე გადაეცემა დასაქმებულს.
4.5. მხარეთა ხელმოწერები:

„დამსაქმებელი“

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო ადმინისტრაციული
მის: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/**32**

უნივერსიტეტის რექტორი

_____

(ხელმოწერა)

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

(ხელმოწერა)

„დასაქმებული“

სახელი, გვარი ----------
პირადი ნომერი ----------
რეგისტრ. მის.: ----------

ფაქტ.საცხ.ადგ: ----------
ელექტ.მისამარ. ----------
საკონტ.ტელ. ----------
საბანკო რეკვიზიტი: ----------

(ხელმოწერა)